სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი

1. მოქმედების სფერო ეს სტანდარტი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის ფუნქციონირებისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისათვის აუცილებელ ზოგად მოთხოვნებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

2. საბაკალავრო საფეხურის მიზანი

2.1. ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, რომელიც ორიენტირებულია სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასა და სასწავლო დისციპლინების თეორიული საფუძვლების შედარებით ღრმა სწავლებაზე, რაც აუცილებელია მაგისტრატურაში შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის ან/და მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით;

2.2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხური მიზნად ისახავს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის ან/და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის. ის აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა მის მიერ არჩეულ სფეროში; უვითარებს მას იმ აუცილებელ უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც საჭიროა როგორც შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობისთვის, ასევე სწავლის გასაგრძელებლად შემდგომ საფეხურზე;

2.3. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ პრიორიტეტად მიიჩნევს სტუდენტის თავისუფალ არჩევანს და ხელს უწყობს მას, თავად დაგეგმოს სასწავლო პროცესი. კერძოდ, სტუდენტი, მისი ინტერესიდან და მის მიერ არჩეული სწავლის სფეროდან გამომდინარე, მაქსიმალურად თავისუფალია კურსების არჩევასა და საკუთარი სასწავლო გეგმის შემუშავებაში. აკადემიურ გარემოში სტუდენტის ნავიგაცია უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით „არგუსი“.

3. მიღება საბაკალავრო საფეხურზე

3.1. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც წარმატებით გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და რომელიც აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ მიღების წინაპირობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

3.2. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს, აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ;

3.3. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტის მობილობის მიზნით, ბაკალავრიატში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია „უმაღლესი განათლების შესახებ

საქართველოს კანონითა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

3.4. ამ მუხლის 3.1. და 3.2. პუნქტებით გათვალისწინებულ პირთა ჩარიცხვა უნივერსიტეტში ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის“ შესაბამისად;

3.5. ამ მუხლის 3.3. პუნქტით გათვალისწინებულ პირთა ჩარიცხვა უნივერსიტეტში ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

4. საბაკალავრო პროგრამა

4.1. საბაკალავრო პროგრამა არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;

4.2. საბაკალავრო პროგრამის შემუშავება ხდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორში, დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;

4.3. საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. კერძოდ, აკადემიური/სამეცნიერო (ასეთის არსებობის შემთხვევაში)/მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში), ადმინისტრაციული პერსონალი (მათ შორის ფაკულტეტის/სკოლის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კურიკულუმის ექსპერტი) და სხვა.

4.4 პროგრამის შემუშავებისას სახელმძღვანელო დოკუმენტებია: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ”, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემრის №206/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) შემუშავების წესი“, დარგობრივი მახასიათებელი (არსებობის შემთხვევაში) (www.eqe.ge), „ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების

მინიჭებისა და რეიტინგის განსაზღვრის წესი“, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, და გაუქმების წესი და პროცედურები“ და „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები“;

4.5. საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის დოკუმენტში მითითებულია ინფორმაცია სწავლის ხანგრძლივობის/ კრედიტებში (ECTS) მოცულობის, პროგრამის მიზნის, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის, სწავლის შედეგების, სწავლების ენის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, პროგრამის სტრუქტურის, სწავლების მეთოდების, შეფასების წესის, დასაქმების სფეროების, სწავლისთვის აუცილებელი რესურსების, პროგრამის შემადგენელი კომპონენტებისა და პროგრამასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების შესახებ;

4.6. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტების (მაგ.: სასწავლო კურსები, ბლოკები, პრაქტიკის კომპონენტები და ა.შ.) კრედიტები, საკონტაქტო საათების რაოდენობა, წინაპირობები (სადაც რელევანტურია), სემესტრი, სტატუსი და ლექტორის ვინაობა. პროგრამას ერთვის როგორც სწავლის შედეგებისა და მიზნების, ასევე სწავლის შედეგების (კომპეტენციათა) რუკა. პროგრამის კომპონენტების დეტალური აღწერა მოცემულია შესაბამის დოკუმენტებში (სილაბუსებში, კონცეფციებში და ა.შ.);

4.7. საბაკალავრო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგებში. საბაკალავრო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით;

4.8. სახელოვნებო-შემოქმედებითი საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს სასწავლო კურსს, სახელოვნებო-შემოქმედებით კომპონენტს, აქტივობას, პროექტს, რომელიც ეფუძნება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტების შერევით სწავლებას;

4.9. საბაკალავრო პროგრამის მოცულობაა არანაკლებ 240 კრედიტი, გარდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული ბიზნესის და ადმინისტრირების ვიწრო სფეროში კლასიფიცირებული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომელთა მოცულობა შესაძლებელია ასევე იყოს არანაკლებ 180 კრედიტისა. ბაკალავრიატში თითოეული სემესტრის მანძილზე სტუდენტს შეუძლია დააგროვოს საშუალოდ 30 კრედიტი;

4.10. უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის #206/ნ ბრძანებით დადგენილი წესით შეიმუშაოს არანაკლებ 180 კრედიტის მოცულობის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით. ასეთ პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი ერთობლივ საგანმანთლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესის მიხედვით.

4.11.1.240 კრედიტის მოცულობის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში 240 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს შემდეგი კომბინაციით:

ა) ძირითადი სწავლის სფეროს (major) შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები (მათ შორის ზოგადი მოდული);

ბ) ძირითადი სწავლის სფეროს (major) შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (minor) (60 კრედიტის მოცულობით) და ზოგადი მოდული (თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში).

4.11.2 სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული ბიზნესის და ადმინისტრირების ვიწრო სფეროში კლასიფიცირებული არანაკლებ 180 კრედიტის მოცულობის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს კრედიტები შემდეგი კომბინაციით - ძირითადი სწავლის სფეროს (major) შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და ზოგადი მოდული (თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში);

4.12. თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში ზოგადი მოდულის მოცულობაა 60 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს (major) შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულების - მინიმუმ 120 კრედიტი (გარდა იმ (რეგულირებადი) საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომელთა მოცულობაც განისაზღვრება შესაბამისი დარგობრივი სტანდარტის საფუძველზე); თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში დამატებითი (minor) პროგრამის/თავისუფალი კომპომენტის (გარდა ზოგადი მოდულისა) - საშუალოდ 60 კრედიტი;

4.13. პუნქტში 4.12 განსაზღვრული პროგრამის კომპომენტებს შორის კრედიტების განაწილება შეიძლება იყოს განსხვავებული რეგულირებადი პროგრამების ან იმ პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დარგობრივი მახასიათებლით დადგენილია კრედიტების განსხვავებული მოცულობა. ასეთი პროგრამებისთვის პროგრამის კომპონენტების კომბინაცია და კომპონენტებს შორის კრედიტების განაწილება განისაზღვრება ინდივიდუალურად;

4.14. საბაკალავრო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი პროგრამის კომბინირება, რომლის შესაბამისი სწავლის სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა უკვე ხორციელდება უნივერსიტეტში აკრედიტებულ რეჟიმში;

4.15. სტუდენტი ძირითადი სწავლის სფეროს (major) შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს ირჩევს მეორე ან მესამე სემესტრიდან. პროგრამის შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების სპეციფიკის გათვალისწინებით სტუდენტი ძირითადი სწავლის სფეროს (major) შესაბამისი შინაარსის

სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს შეიძლება ირჩევდეს პირველივე სემესტრიდან. მეორე ან მესამე სემესტრიდან არის შესაძლებელი ასევე დამატებითი (minor) პროგრამის დაფიქსირებაც გარდა 4.9 პუნქტში მითითებული ბიზნესის და ადმინისტრირების ვიწრო სფეროში კლასიფიცირებული არანაკლებ 180 კრედიტის მოცულობის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებისა. სტუდენტი დამატებით (minor) პროგრამას ირჩევს ძირითადი (major) სწავლის სფეროსგან განსხვავებული მიმართულებიდან.;

4.16. თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი ირჩევს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას იმ შემთხვევაში, თუ ის ჩაირიცხა და სწავლობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე და მას გავლილი აქვს ამ პროგრამით გათვალისწინებული კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით;

4.17. საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია არჩევითობა: პროგრამის სტრუქტურა სავალდებულო კურსებთან ერთად მოიცავს არჩევით და, საჭიროების შემთხვევაში, სავალდებულო-არჩევით კურსებსაც;

4.18. არჩევითობის უზრუნველსაყოფად, ერთი და იგივე კურსი შეიძლება შეთავაზებული იყოს ყოველ მეორე სემესტრში;

4.19. ზოგადი მოდული შეთავაზებულია თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში. ზოგადი მოდულის მიზანია, მისცეს სტუდენტს ზოგადი ცოდნა, რომელიც ქმნის საბაკალავრო განათლების და უშუალოდ არჩეული სპეციალობის კონტექსტს. მოდულის ფარგლებში შემენილი ტრანსფერული კომპეტენციები დაეხმარება სტუდენტს, ეფექტურად წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი შემდგომ ეტაპზე. კერძოდ, მოდული უვითარებს სტუდენტს ქართულსა და ინგლისურ ენებზე ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, ანალიზის, არგუმენტაციის,, გუნდში ეფექტურად მუშაობის, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების, რაოდენობრივი მსჯელობისა და აკადემიური მუშაობის უნარებს;

4.20. ზოგადი მოდული შემოთავაზებულია უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის/სკოლის მიერ. მისი სტრუქტურა შეიძლება იყოს განსხვავებული, ფაკულტეტის/სკოლის მიერ შემოთავაზებული საბაკალავრო პროგრამების, მათ შორის რეგულირებადი საბაკალავრო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით;

4.21. ძირითადი სწავლის სფეროს (major) შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები სტუდენტს აძლევს სფეროს შესახებ ფართო ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიების, პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების შესაძლებლობას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ეუფლებიან სფეროსთვის დამახასიათებელ მეთოდებს პრობლემების გადასაჭრელად და შეუძლიათ კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის/პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

4.22. დამატებითი (minor) პროგრამა შეთავაზებულია თავისუფალი კომპომენტების ფარგლებში. ის უფართოებს სტუდენტს თვალსაწიერს, გამოუმუშავებს მას დისციპლინათშორის მიდგომებს და ზრდის მისი დასაქმების პერსპექტივებს;

4.23. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, დამატებითი პროგრამის მაგივრად, თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში შეისწავლოს მისთვის საინტერესო კურსები შემოთავაზებული საბაკალავრო კურსებიდან, რაიმე გამაერთიანებელი სქემის გარეშე და შეიძინოს ცოდნა სწორედ იმ საკითხებისა და მიდგომების შესახებ, რომლებიც მის მიზნებსა და ინტერესებს შეესაბამება. თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში კურსების შეთავაზებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის აკადემიურ თავისუფლებასა და არჩევითობის პრინციპის დაცვას;

5. ინდივიდუალური პროგრამა სტუდენტის ინტერესების, აკადემიური მომზადებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროცესში მისი შეუფერხებლად ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლებელია შედგენილ იქნას ინდივიდუალური პროგრამა/სასწავლო გეგმა. ინდივიდუალური პროგრამის/სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს „ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭებისა და რეიტინგის განსაზღვრის წესი“ და „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების“ მე-4 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

6. რეგულირებადი პროგრამები

რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი განისაზღვრება “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის XII თავის 75-ე მუხლით.

7. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი

7.1. საბაკალავრო პროგრამა შესაძლებელია დასრულდეს საბაკალავრო ნაშრომით/პროექტით;

7.2. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი იწერება/იქმნება ბაკალავრიატში სწავლის ბოლო სემესტრში. საბაკალავრო ნაშრომში/პროექტში ბაკალავრმა უნდა წარმოაჩინოს როგორც სათანადო კომპეტენცია არჩეული სპეციალობის სფეროში, ასევე აკადემიური კომუნიკაციის შესაბამისი დონე;

7.3. საბაკალავრო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის შესაბამისად, თუკი რაიმე სხვა მოთხვნა არ არის განსაზღვრული შესაბამის საბაკალავრო ნაშრომთან/პროექტთან დაკავშირებულ დოკუმენტში/კონცეფციაში.

7.4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფცია უნდა მოიცავდეს:

- კომპონენტის მიზანს;
- კომპონენტის შედეგებს;
- მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობას;
- საათების განაწილებას;
- შეფასების კომპონენტებს და კრიტერიუმებს;

- ხელმძღვანელის არჩევის მექანიზმს; ნაშრომის წარდგენის და დაცვის მექანიზმს;
- ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების მექანიზმს.

7.5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელები შეიძლება იყვნენ:

- პროგრამაში ჩართული პროფესორი/პროფესორები;
- მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში ან დარგში მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი და შესაბამისი/მომიჯნავე საკითხების კვლევის გამოცდილება;
- მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში ან დარგში მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი და პრაქტიკული გამოცდილება;
- შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელსაც აქვს დაცული პროსპექტუსი ან გამოქვეყნებული აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია;
- შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიურიხარისხი და ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაცია საერთაშორისო ბაზებში შემავალ ჟურნალებში.

8. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება

8.1. პროგრამით განსაზღვრული კრედიტების დაგროვებისა და შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სტუდენტს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია „ბაკალავრი“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ სვეტში მითითებულ შესაბამის სწავლის სფეროში.

8.2. საბაკალავრო საფეხურზე კონკრეტული კვალიფიკაციების ქართული და ინგლისურენოვანი დასახელებები განისაზღვრება სწავლის სფეროების მიხედვით, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-4 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად.

8.3. 2019 წლის 10 აპრილამდე შემუშავებული საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებისთვის, ამ პროგრამების სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანამდე პერიოდში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა შესაბამისი მიმართულების ან დარგის/სპეციალობის არსებობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში.